



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N2

ქ. მარნეული

18.01.2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, აკამედ იმამკულიევი, ზურაბ ფანგანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, დავით ხუციშვილი, რამინ ალახვერდიევი, ტარიელ მამედოვი, ალი მურადოვი, ნიკოლოზ მუმლაძე, არსენ ახვერდიანი, აივაზ ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ილხამ გასანოვი, მირკაზუმ იაგუბოვი, თორნიკე გოგლიძე, აზატ კარიშოვი, ადილ გურბანოვი, რაგიმ ასკეროვი.

არ ესწრებოდა:

რიჩარდ გიგანი, ლევონ აკოპიანი, არამ კარაპეტიანი, გეიდარ მუსაევი, აშრაფ ტუკანოვი, როვშან ისკანდაროვი, ჯეიხუნ ჩოიღაროვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი, მერის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მერის მოადგილე ლაშა ლობჯანიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ბესო ნიჟარაძე.

სხდომას ესწრებოდა -

„TV-მარნეული“-ს და მარნეულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობის შეთანხმებისა და მათი თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
5. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
6. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მითითების ოქმის და შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის N51 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
7. მოქალაქეთა მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების დამუშავების პროგრამის შესახებ.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობების განთავსებისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ.
9. ქალაქ მარნეულში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N3, ბინა 48–ში მცხოვრები მოქალაქე ხათუნა გიორგაძის განცხადების განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით, წინააღმდეგი წავიდა ორი დეპუტატი აკმამედ იმამკულიევი და ადილ გურბანოვი (მიღებულია დადგენილება N2. 18.01.2018 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 იანვრის N03/325 წერილით შემოსული დოკუმენტაცია „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობის შეთანხმებისა და მათი თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N2. 18.01.2018 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილებისა და განკარგულების პროექტები „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით, წინააღმდეგი წავიდა ორი დეპუტატი აკამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი და ადილ გურბანოვი (მიღებულია განკარგულება N3. 18.01.2018 წ. და დადგენილება N3. 18.01.2018 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 იანვრის N03/321 წერილით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N4. 18.01.2018 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 იანვრის N03/321 წერილით შემოსული დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N5. 18.01.2018 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 იანვრის N03/321 წერილით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მითითების ოქმის და შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის N51 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N7. 18.01.2018 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 იანვრის N03/321 წერილით შემოსული განკარგულების პროექტი „მოქალაქეთა მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების დამუშავების პროგრამის შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N4. 18.01.2018 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 იანვრის N03/321 წერილით შემოსული დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობების განთავსებისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N6. 18.01.2018 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბესიკ გუჯეჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N3, ბინა N48–ში მცხოვრები მოქალაქე ხათუნა გიორგაძის განცხადება, რომლის წლინახევრის შვილს აქვს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები, გაუკეთდა რამდენიმე ოპერაცია, საჭიროებს რეაბილიტაციას, რომლის საშუალებაც ოჯახს უკვე აღარ გააჩნია. იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახს მინიჭებული არ აქვს სოციალური ქულა, საკითხი ვერ ჯდება სოციალურ პროგრამაში და როგორც გამონაკლისი, მისი განხილვა ხდება საკრებულოს სხდომაზე. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა თემურ აბაზოვმა აღნიშნა, რომ საქმე ეხება პატარა ბავშვის სიცოცხლეს და აუცილებელია მოხდეს მისი დახმარება, რისთვისაც გამოყენებული იქნება სარეზერვო ფონდი. გამოითქვა აზრი, რომ საოქმო ჩანაწერი, შემოსულ განცხადებასთან ერთად, შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, რასაც საკრებულოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ.

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მეორე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე